



ადვოკატთა შესახებ კანონში ცვლილებები იგეგმება

კანონპროექტი, ინიციატორი



საკანონმდებლო ინიციატივა - “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შესახებ (თანმდევ ოთხ კანონში ცვლილება).

ინიციატორი - საქართველოს პარლამენტის წევრები: ეკა ბესელია, გედევან ფოფხაძე.

ავტორი - საქ. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში შექმნილი „ადვოკატთა შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი.

საფუძვლად უდევს ადვოკატთა ასოციაციის მიერ წარდგენილი [საკანონმდებლო წინადადება](#).¹

კანონპროექტის არსი



საკანონმდებლო ცვლილება ითვალისწინებს სიახლეს რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის ახლებურად რეგულირდება:

- ადვოკატის საქმიანობის ძირითადი პრინციპები
- საკვალიფიკაციო გამოცდისა და სტაჟირების წესი
- კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობის საკითხები
- ეთიკის კომისიის დაკომპლექტების წესში ცვლილებები

მოქმედი რეგულაცია



1. ადვოკატის საქმიანობის პრინციპები და გარანტიები

- არსებული რეგულაციით საადვოკატო საქმიანობის პრინციპებია: კანონიერება; საადვოკატო საქმიანობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა; ადვოკატთა თანასწორობა და მათი დისკრიმინაციის დაუშვებლობა; საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობა; ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და დაცვა; ადვოკატის მიერ დაცვის უფლების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობა, ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა; ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა.
- ადვოკატის დაცვის გარანტიის შესახებ კანონში მოცემულია ჩანაწერი, რომლის შესაბამისად საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად და მასში ჩარევა დაუშვებელია.

2. სავალდებულო სტაჟირების 1 წლიანი პროგრამის განსაზღვრა

ადვოკატთა შესახებ კანონის მოქმედი რეგულაციით² ადვოკატი შეიძლება გახდეს პირი, რომელსაც:

1. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება;
2. გავლილი აქვს ადვოკატთა ტესტირება კანონით დადგენილი წესით ან ჩაბარებული აქვს მოსამართლეთა (პროკურატურის მუშაკთა) საკვალიფიკაციო გამოცდა;
3. აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი.

შემოთავაზებული ცვლილება



1. ადვოკატის საქმიანობის პრინციპები და გარანტიები

კანონპროექტით საადვოკატო საქმიანობის პრინციპს ემატება **სამართლის უზენაესობისა და მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელების პატივისცემა, პროფესიული კომპეტენტურობა, ადვოკატის კეთილსინდისიერება, კარგი რეპუტაცია და იურიდიული პროფესიის პატივისცემა**. ამასთან ერთად ხდება კანონიერების შესახებ ჩანაწერის ამოღება.

2. სავალდებულო სტაჟირების ერთ წლიანი პროგრამის განსაზღვრა

შემოთავაზებული ცვლილებით პირს **გავლილი უნდა ქონდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული, თეორიული და პრაქტიკული ნაწილისაგან შემდგარი, სავალდებულო სტაჟირების 1 წლიანი პროგრამა (ნაცვლად იურისტად ან ადვოკატის სტაჟორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟის არსებობისა)**. ასევე მოცემულია ჩანაწერი, რომლის შესაბამისად სტაჟირების პრაქტიკული კომპონენტის გავლის დროს პირმა განცხადებით უნდა მიმართოს ადვოკატთა ასოციაციას, რომელშიც მითითებული უნდა იქნეს ინფორმაცია **სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შესახებ**. სტაჟირის შერჩევა მოხდება სავალდებულო სტაჟირების პროგრამით განსაზღვრული წესით, რა დროსაც, როგორც პროექტში უთითებს ინიციატორი - გარანტირებულია ადვოკატობის მსურველის მიერ მენტორი ადვოკატის თავისუფლად არჩევის უფლება. როგორც წარმოდგენილი ინიციატივიდან და მასთან დაკავშირებული განმარტებებიდან ირკვევა სტაჟირების ახალი წესი ითვალისწინებს 2 ეტაპს: თეორიულ და პრაქტიკულ სტაჟირებას. ამ უკანასკნელის შემთხვევაში პირი ვალდებული იქნება 9 თვე გაიაროს სტაჟირება მენტორ ადვოკატთან.

შეფასება/რეკომენდაცია



- დადებითად უნდა შეფასდეს, ადვოკატთა საქმიანობის პრინციპების გაფართოვება თუმცა **მიზანშეწონილია კანონში საადვოკატო საქმიანობის პრინციპად დარჩეს ჩანაწერი კანონიერების შესახებ**.
- პოზიტიურად უნდა შეფასდეს ადვოკატის დაცვის გარანტიების გაზრდა, წარმოდგენილი ცვლილება შეესაბამება გაეროს ადვოკატის შესახებ ძირითად პრინციპების რეგულირებას.
- ჩანაწერი, სავალდებულო სტაჟირების 1 წლიანი პროგრამის თეორიული და პრაქტიკული ნაწილის შესახებ ბუნდოვანია **საჭიროებს მეტ დამუშავებას და თეორიული და პრაქტიკული მიმართულებით მომზადებისა თუ სტაჟირების შესახებ ზოგადი მარეგულირებელი წესების განსაზღვრას**.
- **მეტ დასაბუთებას საჭიროებს ჩანაწერი სტაჟირების პრაქტიკული კომპონენტის მხოლოდ ადვოკატთა ასოციაციის წევრთან გავლის შესახებ**. საერთაშორისო პრაქტიკა ითვალისწინებს სხვადასხვა შესაძლებლობას, მაგალითად სტაჟირების გავლას სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში, ან კონკრეტულ ეტაპზე არჩევანის თავისუფლებას - თავად გადაწყვიტოს პირმა სად გაივლის სტაჟირების პრაქტიკულ კომპონენტს.³
- შემოთავაზებული ცვლილებით იურისტად მუშაობის სტაჟი არ ჩაითვლება მოთხოვნების შესაბამის სტაჟირებად. **კანონპროექტში ასევე არ ჩანს ამ ცვლილებების მიღების შემთხვევაში დაინტერესებულ პირებზე ფინანსური ზეგავლენის საკითხი, რაც ასევე საწყის ეტაპზე უნდა იყოს განჭვრეტადი**. უფრო მეტიც, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად ზოგიერთ შემთხვევაში გათვალისწინებულია **სტაჟირების პერიოდში პირისათვის პონორარის მიღების შესაძლებლობაც**.⁴
- მნიშვნელოვანია ადვოკატის სტატუსისა და პროფესიული განვითარებისთვის გადაიდგას ნაბიჯები, მათ შორის საკანონმდებლო რეგულაციის გაუმჯობესების მიმართულებით, თუმცა **სტაჟირების ახალი წესის განსაზღვრა კანონით უნდა დარეგულირდეს მკაფიოდ, სტატუსის მოპოვების პროცესში პირი არ უნდა იყოს მუდმივად სტაჟირების ადგილის განსაზღვრის მიმართულებით**. ამასთანავე არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების პროცესში მნიშვნელოვანია **სწორად იქნეს დანახული პრობლემის ძირითადი მიზეზები და შეფასდეს ის თუ რამდენად შეძლებს ახალი რეგულაცია არსებული პრობლემის მოგვარებას**.

¹ ადვოკატთა ასოციაციის საკანონმდებლო წინადადებით განსხვავებით წარმოდგენილი ინიციატივისა გათვალისწინებული იყო რომ საადვოკატო უფლებამოსილების განხორციელებას მხოლოდ ადვოკატი განახორციელებდა, რაც არ არის წარმოდგენილი ინიციატივაში და დადებითად უნდა შეფასდეს.

² ადვოკატთა შესახებ კანონის მე-10 მუხლი, <https://goo.gl/ggVMqH>

³ ვრცლად იხ. How to qualify as a lawyer in Germany, <https://goo.gl/3VBBbT>

⁴ ვრცლად იხ. Accessing the legal profession in France, <https://goo.gl/whKWfg>